საქართველოს საოჯახო მედიცინის
პროფესიონალთა კავშირი
თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. N 57
ტელ: + 995 322 95 98 66
ელ.ფოსტა: nfmtc@nilc.org.ge

GEORGIA FAMILY MEDICINE
ASSOCIATION
57 M.Tsinamdzghvrishvili str. Tbilisi, Georgia
Tel.: + 995 322 95 98 66
e-mail: nfmtc@nilc.org.ge

№1-25/28 **13/11/2023**

რეცენზია ონლაინ სასწავლო მოდულზე გულის ქრონიკული იშემიური დაავადების მართვა პირველად ჯანდაცვაში

საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირს რეცენზირებისთვის წარედგინა ელექტრონული სასწავლო მოდული „გულის ქრონიკული იშემიური დაავადების მართვა პირველად ჯანდაცვაში“.

იმის გათვალისწინებით, რომ გულ-სისხლძარღვთა დაავადებები და კერძოდ, გულის ქრონიკული იშემიური დაავადება საქართველოში, ისევე როგორც მთელს მსოფლიოში ავადობისა და სიკვდილიანობის წამყვანი მიზეზია, განსაკუთრებულად იკვეთება მოცემული სასწავლო მოდულის მნიშვნელობა დაავადების მართვის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

პირველადი ჯანდაცვა, როგორც პაციენტის პირველი დონის კონტაქტი სამედიცინო სისტემასთან, განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქრონიკული არაგადამდები დაავადებების პრევენციის და გართულებების თავიდან არიდების კუთხით, ამდენად, პირველადი ჯანდაცვის პროფესიონალების რეგულარული სწავლება უახლეს რეკომენდაციებზე, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ეფექტური სამედიცინო დახმარების მიწოდების მიზნით.

სასწავლო მოდული შექმნილია გულის ქრონიკული იშემიური დაავადების მართვის განახლებული ეროვნული პროტოკოლის საფუძველზე, რაც ხელს შეუწყობს პროტოკოლის რეკომენდაციების გაცნობას სამედიცინო პროფესიონალთა ფართო საზოგადოებისათვის და მის პრაქტიკულ განხორციელებას.

სასწავლო მოდული განკუთვნილია როგორც ოჯახის ექიმებისთვის, ისე თერაპევტებისა და კარდიოლოგებისთვის, რაც დაეხმარება დაავადების მულტიდისციპლინური მართვის პრინციპების განხორციელებასა და ჯანდაცვის სისტემის სხვადასხვა რგოლებს შორის ეფექტურ კოორდინაციის დამყარებაში.

სასწავლო მასალაში მკაფიოდ და დეტალურად არის ჩამოყალიბებული დაავადების რისკის შეფასების, დიაგნოსტიკური კვლევების, სამკურნალო ალტერნატივების, რეგულარული მეთვალყურეობის, რეფერალისა და ჰოსპიტალიზაციის შემდგომი მეთვალყურეობის პროცესები. განსაკუთრებით აღსანიშნავია დიაგნოსტიკური პროცესისადმი საფეხურებრივი მიდგომა, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს სტენოკარდიის სტაბილური თუ არასტაბილური მიმდინარეობა და ობსტრუქციული კად-ის ალბათობა, გონივრულად შეირჩეს სადიაგნოსტიკო ტესტები და რაციონალურად იქნას გამოყენებული რესურსები. დეტალურად არის განხილული არამედიკამენტური და ფარმაკოლოგიური მართვის ალტერნატივები, რაც დაეხმარება პრაქტიკოს ექიმებს გულის ქრონიკული იშემიური დაავადების მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მართვაში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი ონლაინ სასწავლო მოდული „გულის ქრონიკული იშემიური დაავადების მართვა პირველად ჯანდაცვაში“ შეიძლება შეფასდეს,

როგორც კარგად მომზადებული სასწავლო კურსი პირველადი ჯანდაცვის ექიმებისთვის, რაც ხელს შეუწყობს განახლებული პროტოკოლის იმპლემენტაციას და კორონარული არტერიების დაავადების ეფექტურ მართვას.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, რეკომენდაციას ვუწევთ ონლაინ სასწავლო მოდულის უპგ საბჭოზე დამტკიცებას წარმოდგენილი ფორმით.

ირინა ქაროსანიძე

საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა

კავშირის პრეზიდენტი

Irine Karosanidze 01030002617

Digitally signed by Irine Karosanidze
Date: 2023.11.13 10:16:12